ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომა N 08

4.12..2025 წ.

დ. ლენტეხი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების

და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომა N 08

4.12..2025 წ.

დასწრების ფურცელი :

1. კომისიის თავ-რე: /მევლუდ ლიპარტელიანი/
2. კომისიის წევრი: /ხუტა მუკბანიანი/
3. კომისიის წევრი: /ირაკლი ქურასბედიანი/
4. კომისიის წევრი: / მურმან ტვილდიანი/
5. კომისიის წევრი: / სოსო ავალიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების

კომისიის თავმჯდომარე: /მ. ლიპარტელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომა N 0[redacted]

4.12.2025 წ.

დღის წესრიგი

1. მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ინფორმაცია ზამთრისწინა მოსამზადებელი სამუშაოების თაობაზე.
2. სხვადასხვა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების

კომისიის სხდომის თავ-რე : /მ. ლიპარტელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა

ოქმი N 08

დ. ლენტეხი. **4 დეკემბერი 2025წ.**

მ/წ 4 დეკემბერს, დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტუქტურის კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: მევლუდ ლიპარტელიანი - კომისიის თავმჯდომარე; ხუტა მუკბანიანი - კომისიის წევრი; ირაკლი ქურასბედიანი - კომისიის წევრი; მურმან ტვილდიანი - კომისიის წევრი; სოსო ავალიანი - კომისიის წევრი; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ელდარ ლიპარტელიანი; ქონების მართვის და ბუნებრივ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დათო ფურელიანი; ამირან ლიპარტელიანი - მოწვეული სპეციალისტი საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასრტუქტურის კომისიაში; ცოტნე ქურასბედიანი - მოწვეული სპეციალისტი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში; მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლი დემურ ლიპარტელიანი სხდომის მდივანი ნანი ბენდელიანი.

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპარტელიანმა სხდომას გააცნო დღის წესრიგი შემდეგი **საკითხებით:**

1. მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ინფორმაცია ზამთრისწინა მოსამზადებელი სამუშაოების თაობაზე.

/მომხ. დ. ლიპარტელიანი/

2. სხვადასხვა.

შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა დ. ლიპარეტელიანმა სხდომას პუნქტობრივად და დეტალურად გააცნო ინფორმაცია ზამთრისწინა მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ. მან თქვა, რომ ზამთრისწინა სამუშაოების შესრულება მოხდება შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, მის მიერ მითითებულ მიმართულებებზე მთელ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ტექნიკურ მოთხოვნებში არის 2.3.1 მოთხოვნა პრედენდენტის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შესახებ;

1) პრედენდენტს, ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების წარმოებისთის უნდა გააჩნდეს საკუთარი, ან სარგებლობის ნებისმიერი ფორმით (იჯარა, თხოვება, ქირა და ა. შ.) შესაბამისი სპეცტექნიკა:

1 ერთეული ბულდოზერი (არანაკლებ 180-220 მდე ცხენის ძალით).

5 ერთეული ბულდოზერი მუხლუხა სვლაზე (არანაკლებ 75-108-მდე ცხენის ძალით).

1 ერთეული გრეიდერი, არანაკლებ 135 ცხენის ძალით.

2 ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველი.

ინფორმაცია, ტექნიკის ხელმისაწვდომობის შესახებ, წარმოდგენილი უნდა იქნას N 2 დანართის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე საჭირო გახდა მეტი ან სხვა ტიპის ტექნიკა, მიმწოდებელი ვალდებულია ვითარების აღმოსაფხვრელად დამატებით დაიქირაოს ის ტექნიკა, რომელიც იმ მომენტისთვის გახდება აუცილებელი.

ტექნიკის საკუთრების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები; (სარეგისტრეციო მოწმობა,მიღება-ჩაბარების აქტი, დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ან სხვა დოკუმენტაცია). ხელშეკრულების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 2027 წლის 31 იანვრისა.

აღნიშნული ტექნიკა უნდა იმყოფებოდეს ადგილზე, შემსყიდველის პირველივე შეტყობისთანავე, შემდეგ თემებში:

1. ჩიხარეშში - 1 ერთეული ბულდოზერი მუხლუხა სვლაზე. (არანაკლებ 75-108-მდე ცხენის ძალით).

2. ჟახუნდერში 1 ერთეული ბულდოზერი მუხლუხა სვლაზე. (არანაკლებ 75-108-მდე ცხენის ძალით).
3. ჩოლურში 1 ერთეული ბულდოზერი მუხლუხა სვლაზე. (არანაკლებ 75-108-მდე ცხენის ძალით).
4. ხელედში 1 ერთეული ბულდოზერი მუხლუხა სვლაზე. (არანაკლებ 75-108-მდე ცხენის ძალით).
5. რცხმელურში და ხოფურში 1 ერთეული ბულდოზერი მუხლუხა სვლაზე. (არანაკლებ 75-108-მდე ცხენის ძალით).
6. დაბაში 1 ერთეული ბულდოზერი მუხლუხა სვლაზე. (არანაკლებ 180-220-მდე ცხენის ძალით). ერთი ერთეული გრეიდერი არანაკლებ 135 ცხენის ძალით. ორი ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველი.

ზემოთ ჩამოთვლილი ტექნიკა აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან საჭიროების შემთხვევაში, შეტყობინების მიღებიდან უმოკლეს ვადაში, დაიწყოს სამუშაოები.

აზრი გამოთქვა: კომისიის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპარტელიანმა მომხსენებელს დაუსვა კითხვა, რომ რატომ არის მითითებული მეოთხე პუნქტში ხელშეკრულების ვადაში 2027 წლის 31 იანვარი?

დ. ლიპარტელიანმა განმარტა ,რომ თუ შემსყიდველი ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოებისთვის ვერ გახარჯავს სრულად გამოყოფილ თანხას (დაუშვათ, არ იყო ბევრჯერ გასაწმენდი გზები), ამ შემთხვევაში თანხის გახარჯვის ვადა გადაიწევს 2027 წლის 31 იანვრამდე.

ამირან ლიპარტელიანმა გამოთქვა სურვილი ,რომ კარგი იქნებოდა ზემოთ ჩამოთვლილი ტექნიკა საკუთრად ჰქონდეთ სოფლებში და დიდთოვლობის დროს არ შეიქმნებოდა პრობლემები.

ხუტა მუკბანიანმა აღნიშნა, რომ შარშან ჩოლურის თემში, მზადყოფნაში იყო ტრაქტორი გამწმენდი სამუშაოების ჩასატარებლად, მაგრამ საწვავი არ ჰქონდათ მიწოდებული, დიდთოვლობის გამო ხუთი დღე დასჭირდა საწვავის მიტანას ადგილზე; ზოგჯერ ნახევარ საათსაც მნიშვნელობა აქვს ადამიანის სიცოცხლისთვის, მსგავსი შემთხვევები, რომ არ მოხდეს, შევხვდეთ, გავიგოთ როგორ აპირებს შემსყიდველი გამწმენდი სამუშაოების ჩატარებას.

კომისიის წევრებმა თითქმის ყველამ მოითხოვა, რომ მომდევნო კომისიის სხდომაზე უშუალოდ შეხვდნენ და გაესაუბრონ სამუშაოების მომწოდებელ პირს და მიიღონ

მისგან ზუსტი ინფორმაცია ზამთრისწინა სამუშაოების შესრულების შესახებ, ასევე კომისიის სხდომაზე მოწვეულ იქნას მერიის ზედამხედველობის სმასახური.

გადაწყვიტეს: 1.მოწონებულ იქნას ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლი დ. ლიპარტელიანის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია-ზამთრისწინა მოსამზადებელი სამუშაოების თაობაზე.

2 . ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზამთრისწინა სამუშაოების მომწოდებელი მოტენდერის ,,შპს - გასო კომპანი"- ს მიერ საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

3.2025-26 წლის ზამთრის პერიოდში რეგულარულად იქნას განხილული საკითხი თოვლ-წმენდითი სამუშაოების შესახებ.

4. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილებების შესრულებაზე დაევალოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერირორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს მევლუდ ლიპარტელიანს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

თავმჯდომარე: /მ.ლიპარტელიანი/